საქართველოში ჰესების გარემოზე ზემოქმედების შეფასების კრიტიკული ანალიზი და რეკომენდაციები

ანა ბოკუჩავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბუნების დაცვა და მეტყევეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მამუკა გვილავა, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ანა ბოკუჩავა

13.06.2025

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების (ჰესების) გარემოზე ზემოქმედების შეფასების სამართლებრივ ჩარჩოს, განსაკუთრებით იმ კონტექსტში, როდესაც ქვეყანა ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაციის პროცესშია. კვლევის მიზანია გაანალიზოს, რამდენად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირის 2011/92/EU დირექტივის მოთხოვნებს და რა გამოწვევები იჩენს თავს პრაქტიკაში, კერძოდ, ჰესების პროექტების გზშ-ის პროცესის დროს.

კვლევისთვის გამოყენებულია რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი, ასევე განხილულია ეროვნული და ევროპული კანონმდებლობა, განხორციელებულია დოკუმენტური მიმოხილვა და შეფასებულია პრაქტიკაში არსებული შემთხვევები. გარდა ამისა, გამოკვეთილია მონაცემთა ხელმისაწვდომობის პრობლემები და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების ხარვეზები.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი წარმოადგენს მნიშვნელოვან პროგრესს კანონმდებლობის დონეზე, თუმცა პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ ხდება სიღრმისეული შეფასების უზრუნველყოფა, საჯაროობის და მონაცემთა გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების დირექტივის (2014/52/EU) მოთხოვნების სრულფასოვანი გათვალისწინება. ხარვეზები გამოიკვეთა როგორც ინსტიტუციური კოორდინაციის, ისე ციფრული არქივების სისტემურობის კუთხით.

ნაშრომის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ასახავს სისტემურ პრობლემებს, რომლებიც ხელს უშლის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის სრულყოფილად განხორციელებას. კვლევა მოიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმების მიმართულებით, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საქართველოს გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესების გზაზე.

საკვანძო სიტყვები: გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ჰესები, საქართველოს კანონმდებლობა, ევროკავშირის დირექტივები, მონაცემთა ხელმისაწვდომობა, გარემოსდაცვითი მენეჯმენტი.

Abstract

The master's thesis focuses on the legal framework for Environmental Impact Assessment (EIA) of hydroelectric power plants (HPPs) in Georgia, particularly in the context of the country's harmonization with European Union (EU) directives. The research aims to analyse the extent to which Georgian legislation aligns with the requirements of EU Directive 2011/92/EU, and what challenges emerge in practice, especially during the EIA process of HPP projects.

A quantitative research method was used for the study, alongside an analysis of both national and European legislation. A document review was conducted, and real-life case studies were assessed. The study also highlights problems related to data accessibility and shortcomings in the assessment of transboundary environmental impacts.

The findings show that Georgia's Environmental Assessment Code represents significant progress at the legislative level. However, in practice, there is still a lack of in-depth evaluations, public engagement, data transparency, and full consideration of the requirements of the Environmental Impact Assessment Directive (2014/52/EU). Deficiencies were identified in institutional coordination as well as in the systematization of digital archives.

The significance of this thesis lies in its identification of systemic issues that hinder the effective implementation of the EIA process. The study provides concrete recommendations for legislative and institutional reforms, which would represent an important step toward improving environmental governance in Georgia.

Keywords: Environmental Impact Assessment, Hydropower Plants, Georgian Legislation, EU Directives, Data Accessibility, Environmental Management.

მადლობა

უპირველეს ყოვლისა, მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს - ბატონ მამუკა გვილავას, რომელიც კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე, მუდმივად მაძლევდა რეკომენდაციებს, მეხმარებოდა საკვანძო საკითხების გამოვლენასა და გეო-ტექნიკური რუკების შედგენაში.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ქეთევან უგრეხელიძეს, რომელიც დამეხმარა კვლევის კითხვარის გავრცელებაში და მაძლევდა სხვადასხვა სახის რჩევებს კვლევის განხორციელების პროცესში.

და ბოლოს, უღრმესი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო გამოკითხვაში, რადგან მათ გარეშე კვლევის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა.